

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი №21

ქ. ახმეტა

4 დეკემბერი, 2015 წელი

თავმჯდომარეობდა:

გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ:

თ.წითელაური, ი. უჯირაული, გ.უძილაური

ახმეტის მუნიციპალიტეტის

თ. ყვინიშვილი, გ. ქიტესაშვილი, ლ. გოგოთიძე,

საკრებულოს ბიუროს წევრები:

რ. ბალაკაშვილი, დ. მურთაზაშვილი,

მ. ალხანაშვილი, გ. მაისურაძე

ზ. გარსევანიძე, ნ. ლუბიანური

სხდომას ასევე ესწრებოდა:

დავით შაშიაშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> სათზე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გელა ჯუგაშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს  
გაცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2015 წლის  
პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №5 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ნათელა ექვთიმიშვილი/



2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხსენებელი-დავით პავლიაშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის № 42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-დავით პავლიაშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის ფორმით გასაცემი ობიექტების ნუსხის და საიჯარო ქირის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

6. ცნობად მიღება ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი“ დაფუძნების შესახებ;

/მომხსენებელი - მამუკა ხოლეგაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა სხდომის დამსწრე წევრებს: ხომ არ ექნებათ რაიმე ძენიშვნა შეკითხვა ან დამატება დღის წესრიგთან დაკავშირებით?

ბიუროს წევრებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა, შეკითხვა ან დამატება არ მიუთქვამთ.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2015 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი: ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტის



ზოგიერთი მუხლით გათვალისწინებული თანხის ეკონომიით, შიდაგადანაწილების ხარჯზე, სოციალური პროგრამის უფრო მოთხოვნადი სამიზნე ჯგუფებისათვის დაფინანსების გაზრდა. მოხდა თანხის შიდაგადანაწილება, რაც საშუალებას მისცემს კომისიას თანხის ეკონომიის ხარჯზე მოძიებული შიდარესურსის მაქსიმალური მობილიზების მეშვეობით, ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის მოთხოვნის გარეშე შეძლოს დააკმაყოფილოს პროგრამის ბენეფიციართა მოთხოვნები.

1. პირველ პუნქტს მოაკლდა 2000 ლარი;
2. მე-5 პუნქტს მოაკლდა 500 ლარი;
3. მე-8 პუნქტს მოაკლდა 1500 ლარი;
4. მე-10 პუნქტს მოაკლდა 2000 ლარი;
5. მე-11 პუნქტს მოაკლდა 800 ლარი;
6. მე-16 პუნქტს მოაკლდა 3000 ლარი. სულ ჯამში გამოთავისუფლებული იქნა 9800 ლარი. აქედან მე-2 პუნქტს დაემატა 8000 ლარი, მე-17 პუნქტს დაემატა 1800 ლარი. ამასთან გვაქვს სათადარიგო პუნქტი, საიდანაც შეგვიძლია დავეხმაროთ გაჭირვებულებს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

შეჯამების: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხსენებელი-დავით პავლიაშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი: დარჩენილია ძველი დადგენილებები, რომლებიც ჯერ კიდევ მწვანედ არის ანთებული საკანონმდებლო მაცნეში. უნდა მოხდეს დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ი უჯირულმა შემოიტანა შენიშვნა, რომ იურიდიულმა სამსახურმა უნდა აკონტროლოს აღნიშნული საკითხი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

შეჯამების: „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 ოქტომბრის № 42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-დავით პავლიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო დადგენილების პროექტი ბიუროს წევრებს. საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.



ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**მოისმინეს:** „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დადგენილების პროექტი: იურიდიულ სამსახურში არის ორი წამყვანი სპეციალისტის და ერთი უფროსი სპეციალისტის შტატი, თითოეულს გაწერილი აქვს საკუთარი ფუნქცია. გარდა ამისა, სამსახურის ყველა სპეციალისტი ჩართულია გამგეობის მიერ შექმნილ სხვადასხვა კომისიებსა თუ სამუშაო აქტივების საქმიანობაში. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა“ და მასში განხორციელებული ცვლილებებმა, საქმისწარმოების ახალმა სისტემამ სამსახურის ფუნქციურად მნიშვნელოვანი დატვირთვა გამოიწვია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფორველზე მიღებული წესის განხორციელება საჭიროებს სამსახურის აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში. აღნიშნული სამსახურის უკეთ ფუნქციონირების მიზნით საჭიროა დაემატოს 1 მთავარი სპეციალისტის შტატი, რომლის მოვალეობაშიც შევა მუნიციპალიტეტის გამგეობის ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში, სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტაციის წარმოება, სააღსრულებო ბიუროსთან, საჯარო რესტრთან, წარმოდგენილი პროექტი ცვლილებას გამოიწვევს „ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 აგვისტოს N 35 დადგენილების დანართი #1-ის მე-3 გრაფაში.

აუჯირობა: მიმაჩნია, რომ ახალი შტატის დამატებას სჯობს ძველი კადრი დავაწინაუროთ. ამით მოტივაციასაც შევუქმნით საჯარო მოხელეებს.

საკითხის განხილვისას ლ.გოგოთიძე და ნ.ღუბიანური დაინტერესდნენ არის თუ არა გამგეობაში ისეთი პირი, რომელიც არასამთავრობო სექტორთან მუშაობს. მათ აღნიშნეს, რომ აუცილებელია ვინმე, პირი, რომელიც იმუშავეს თანხების მოძიებაზე არასამთავრობო სექტორთან.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სარეკლამოების ფორმით გასაცემი ობიექტების ნუსხის და საიჯარო ქირის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გ.ქიტესაშვილი/



მომხსენებელმა სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო განკარგულების პროექტი. აღნიშნა, რომ კომისიამ უკვე გასაცემი ობიექტიდან ერთს, კერძოდ ბაზანეურის პროექტს დაუჭირა მხარი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

მოისმინეს: ცნობად მიღება ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი“ დაფუძნების შესახებ;

/მომხსენებელი - მამუკა ხოლეგაშვილი/

ლ.გოგოთიძემ საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა, რომ მისი ვალდებულება იყო აღნიშნული საკითხის სწორად წარმართვა. ავთანდილ ძულიაშვილის მიმართ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ უნდა მომხდარიყო ფრაქციის გაუქმება და ამის შემდგომ ახალი ფრაქციის რეგისტრაცია და მისი დაფუძნება, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის წინაშე მრავალჯერ დააყენა ეს საკითხი, რათა კანონიერებასთან შესაბამისობაში მოეყვანათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

ბიუროს სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

ბიუროს სხდომა დაიხურა 11<sup>50</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გელა ჯუგაშვილი